საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლორთქიფანიძე რევაზ თეიმურაზის ძე

ლორთქიფანიძე რევაზ თეიმურაზის ძე (დ. 7. I. 1965, ბათუმი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1999). საერთაშ. მეცნ. აკადემიების წევრი. 1986 დაამთავრა თსუ-ის საინჟინრო-ეკონ. ფაკ-ტი. 1986–93 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართლის ინ-ტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1993–98 – აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ, 2001–09 – საქართვ. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში (ახლანდ. ეკონ. და მდგრადი განვითარების სამინისტრო). 2001-იდან პარალელურად იყო პროფესორი თსუ-სა და სტუ-ში; 2010-იდან სასწ. უნივერსიტეტ „გეომედის“ პროფესორი და ჯანდაცვისა და ეკონომიკის ფაკ-ტის მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მისი სამეცნ. კვლევები ეხება საერთაშ. კონკურენციისა და მართვის საფუძვლების საკითხებს, სავალუტო სისტემის სრულყოფის მექანიზმებს.

თხზ.: ეკონომიკურ-სტრუქტურული პრობლემატიკა და მრეწველობის ძირითადი საწარმოო კაპიტალის ეფექტიანობა (საქართველო და მისი სამხრეთ-დასავლეთი: აჭარა), ბათ., 1992; ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების სტიმულირების თეორია (რეგიონალური ასპექტი), ბათ., 1997; ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ, თბ., 2005; მენეჯერული ხარჯების ეფექტიანობა ჯანდაცვაში, თბ., 2012.